

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს ბაგო+

ს/ნ 248423503

და

შპს ბაგო 1

ს/ნ 245540570

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კონსოლიდირებული შპს „ბაგო+“ ს/ნ 248423503 + შპს ბაგო 1 ს/ნ 245540570
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წ

პერიოდი	31.12.2023	31.12.2022
აქტივები		
ფულადი სახსრები	257637	70988
სავაჭრო მოთხოვნები	2967738	3403516
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	110241	37534
-მზა პროდუქცია		
მიმდინარე მარაგები	110241	37534
საგადასახადო ვალდებულებები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	0	0
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
მთლიანი მიმდინარე აქტივები	3335616	3512038
ძირითადი საშუალებები	1430296	1432742
- მიწა	519507	519507
- შენობა-ნაგებობები	65585	65585
- სხვა ძირითადი საშუალებები	844845	847291
- არამატერიალური აქტივები	359	359
- საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	453253	453253
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
კაპიტალი (გაუნაღდეგელი ნაწილი)	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
სულ აქტივები	5219165	5398033

	31.12.2023	31.12.2022
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	994409	1116798
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	52922	49584
საგადასახადო ვალდებულებები	32542	38439
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი		
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		
ბანკებისგან ნასესხები თანხები	515963	696556
სხვა ნასესხები თანხები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	1595836	1901377
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	3623129	3496456
გადაფასების რეზერვი		

სხვა კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	3623329	3496656
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5219165	5398033

კონსოლიდირებული შპს „ბაგო“ ს/ნ 248423503 +
შპს ბაგო 1 ს/ნ 245540570 2023 წ

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება		
	2023	2022
ნეტო ამონაგები	7653075	7383081
- საქონლის გაყიდვიდან	7653075	7383081
- მომსახურების გაწევიდან		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა		957
	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6389462	6067981
- საწყისი მარაგები		
	-	-
- მარაგების შესყიდვა	6389462	6067981
- გადამუშავების დანახარჯები		
- საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	1263613	1315100
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-337812	-344312
ცვეთა/ამორტიზაცია	-221020	-243557
გაუფასურების ხარჯი		
- ფინანსური აქტივები	0	0
- მარაგები	0	0
- სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-43499	-26519
სხვა ხარჯები	-29415	-42526
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	631867	658186
მოგების გადასახადი	-75554	-16927
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	556313	641259
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		
- გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	3496656	3378578

- გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		
- გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა		219
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-429640	-523400
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	3623329	3496656

კონსოლიდირებული შპს „ბაგო“ ს/ნ 248423503 +
შპს ბაგო 1 ს/ნ 245540570 2023 წ

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები		
ავანსად მიღებული თანხები		
სულ შემოსული თანხები		
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები		
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები		
გადახდილი გადასახადები		
სულ გაცემული თანხები	0	0
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	0	0
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
მიღებული დივიდენდები		
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	0	0
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი		

სავალუტო გადაფასების ხარჯი		
სესხის ძირის დაფარვა		
სესხის პროცენტის დაფარვა		
გაცემული დივიდენდი		
საკუთარი კაპიტალის ცვლილება		
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	0	0
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	186649	33855
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	70988	37133
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	257637	70988

კონსოლიდირებული შპს „ბაგო+“ ს/ნ 248423503 + შპს ბაგო 1 ს/ნ 245540570

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობა 2023 წლის

დასრულებული პერიოდისათვის

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ს უ ლ
			კაპიტალი
ნაშთი 31/12/2022 წ.	200	3496656	3496856
2023 წლის მოგება/ზარალი		631867	631867
გაცემული დივიდენდი		-429640	-429640
მოგების გადასახადი დივიდენდზე		-75554	-75554
სხვა ცვლილება			
ნაშთი 31/12/2023 წ		3623329	3623329

**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბაგო+ ს/ნ 248423503, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 01/05/2006 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ბათუმი ოპიზრების 24; საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი ოპიზრების 24; საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ბადრი გობაძე პ/ნ 61009002017

შპს ბაგო1 ს/ნ 245540570, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 25/08/2005 წელს. საწარმოს იურიდიული საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი, დაბა ხელვაჩაური, სამრეწველო ზონა; საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი, დაბა ხელვაჩაური, სამრეწველო ზონა; საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის შპს ბაგო+ ს/ნ 248423503

მოგახსენებთ, რომ შპს ბაგო 1 245540570 ბოლო შვიდი წლის განმავლობაში უფუნქციოა, არ მუშაობს, მხოლოდ აქვს განათების (ელექტროენერგიის) ხარჯის გასტუმრება. ელექტროენერგიას აღნიშნული საწარმო იყენებს ტერიტორიის გასანათებლად უსაფრთხოების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემო. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2019 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს

საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შპს ზაგო+ ს/ნ 248423503 დირექტორი:

ბადრი გოზაძე

შპს ზაგო 1 ს/ნ 245540570 დირექტორი:

ანზორ ანანიძე